

572/
1958/2

საქართველოს
განმანათლებლო
მინისტრო



დედა

„დედა“ ტერმინი ქვეყანა-
თელსავე, თუკი მშობრო,
და ზენცე, პირველი, სწავლითა
სამშობლო ეკავარყო,“

№ 4 საბავშვო ადამ ცენტრალური კომიტეტის
შარხალი მსიყაროგანათლებლის

ბაკალი
1958



სუფთა თეფშების

საზოგადოება



3. გონი-ბრძეპიი

ია აივანსე ეველ მ-
გოდან შემოსნდომო-
და. მათ შორის სა-
მი ბაუშვი იყო, —ორი
გოგონა და ერთი ბიჭი. მათ გულსე
სელსაწმენდები აუფარებინათ და წუნ-
რად უცდიდნენ სადილის მოტანას.

ნახატები ალ. ბიბოლაშვილი

ვლადიმერ ილიას-მე ლენინი სმადბლა
ესაუბრებოდა უფროსებს და თან ბაუშვებს
უთვალთვალებდა. აი, შემოიტანეს წვნი-
ანი. ბაუშვებმა თითქმის მთელი წვენი
თეფშებზე დატოვეს, ისე უმადოდ ჰამეს.
ლენინმა უკმაყოფილოდ გადასულა მთ,
მაგრამ არაფერი უთქვამს. როცა მეორე

თავი შემოიტანეს, იგივე ამავე კანქორ-
და,—ეგრძე თითქმის სელუსლებული
დარჩა.

— ერთი მითხარით, კეთაჟვა, ხარ
თუ არა სუფთა თეფშების სასოგადო-
ების წევრები?—ხმაძალა ჰკითხა ვლა-
დიმერ ილიას-ძემ გვერდით მჯდომ
პატარა ნადიას.

— არა,—ჩუმად მიუგო ნადიამ და
დბნევით გადასულა დანარჩენ ბავშვებს.

— ნუთუ არც შენ და არც შენ?—
მიძართა ლენინმა გოგონას და ბიჭს.

— არა, არა ვართ წევრები!—მიუ-
გეს ბავშვებმა.

— ეტ როგორ მოგივიდათ? რატომ
დაატყობთ?

— ჩვენ არაფერი ვიცოდით ამ
სასოგადოების შესახებ! — წამოიმხნეს
ბავშვებმა.

— ოჰ, ძალიან საწყენია! ეს სასო-
გადოება უკვე დიდი ხანია არსებობს.

— აბა, რა ვიცოდით!—გულდაწმე-
ვით უთხრა ნადიამ.

— თუცა ამ სასოგადოებაში, სულ
ერთია, თქვენ მანც არ მიგიღებენ,—სე-
რითოსულად თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ.

— რატომ?.. რატომ არ მიგვიღე-
ბენ?—სულმოუთქმელად ჰკითხეს ბავ-
შვებმა.

— როგორ თუ რატომ, ერთი შე-
ხედეთ, რასა ჰგავს თქვენი თეფშები!
აბა, როგორ უნდა მიგიღონ, როდესაც
თეფშებზე უკვლავურს ტოვებთ.

— ახლავე შეგზამთ!

და ბავშვებმა ხელად მოასუფთავეს,
რაც კი თეფშებზე იყო დარჩენილი.

— ჰოო, თუ გამოსწორდებით, მ-
შინ შეიძლება ვსინჯოთ... ვინც კარგად
მოაწრიალებს თეფშს და არაფერს და-
ტოვებს, მას სამკერდე ნიშანსაც მიაკრა-
ვენ,—განაგრძო ვლადიმერ ილიას-ძემ.

— სამკერდე ნიშანსაც?! ნეტავ. რო-
გორია ის ნიშანი?—ჰკითხეს ბავშვებ-
მა,—ან როგორ გავხდეთ იმ სასოგა-
დოების წევრები?

— უნდა განცხადება დაწეროთ.

— მერე ვის მივცემთ?

— მე უნდა მომცეთ.

ბავშვებმა დედას სუფრიდან ადგომის
ნებართვა სთხოვეს და განცხადების და-
საწერად გაიქცნენ.

მალე აივანზე დაბრუნდნენ და ვლა-
დიმერ ილიას-ძეს დიდის აბით გადა-
სცეს განცხადება.

ლენინმა განცხადება წაიკითხა, სამი
შეცდომა შეასწორა და კუთხეში წააწერა:
„უნდა მივიღოთ“.

თარგმანი ელ. სიბაშვილისა



წითელი ფანქარი



ინო აღნიშვილი

ნახატები გ. თოთიაშვილი

— ეგ წითელი ფანქარი ჩემია! — ამბობდა ალიკო და ცდილობდა პატარა დისათვის ფანქარი წაერთმია.

— შენი კი არა, ჩემია! — დაკარგავ ხოლმე და მერე ჩემსას მართმევ, არ მოგცემ! — ცხარობდა თინა და თავის ფანქრებს ხელებს აფარებდა.

— არ მომცემ? ესეც შენ... — გაბრაზებით წამოიძახა ალიკომ და თინას თეთრბაბთიან კიკინებში მისწვდა. ნაწნავებში ხელი წამავლოო. — თინამ წიროკობა ატეხა. სიმართლე რომ ითქვას, იმდენად არა სტკენია რა, რამდენადაც ეწყინა: ყვირილზე დედა შემოვიდა.

დედის დანახვაზე ალიკომ დის ნაწნავებს ხელი გაუშვა.

— რა მოგივიდათ? — შემფოთებით იკითხა დედამ. არა გრცხვენიათ? მეგონა, ჩემი შვილები უკვე დიდები არიან-მეთქი, ჭკვია-ნები, თქვენ კი, აი, რა ამბავში ხართ!

— რა და ჩემი წითელი ფანქარი აულია და არ მაძლევს.

— არა, დედიკო, მაგისი კი არა, ჩემია!


— იქნებ სახატავად სჭირდება, უნდა ათხოვო.

— სახატავად კი არა, წართმევა უნდა, — ბუზღუნით თქვა თინამ და ფანქარი საჩქაროდ ჩანთაში ჩადო. — უნდა გაუფრთხილდეს, ნუ დაკარგავს და ექნება. იცი, რამდენი ფანქარი წამართვა? მადლობელი მაინც იყოს!

დედა სკამზე ჩამოჯდა, ნაღვლიანად გადახედა შვილებს და ამოიხრა:

— ოჰ, რა ბედნიერი იყო ერთი ზღაპრის დედა.

— ზღაპრის დედა? რომელი ზღაპრის? — ერთხმად შეჰყვირეს თინამ და ალიკომ და დედას აქეთ-იქით შემოუხსდნენ, — გვიამბე რა!



ფაცია

ძალიან უყვარდათ ზღაპრების მოსმენა, სულ დაავიწყდათ ფანქრები!..

დღემ დაიწყო:

— იყო და არა იყო რა, იყო ორი ძმა. ძმები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. უფროს ძმას ცოლ-შვილი ჰყავდა, უმცროსი ძმა კი უცოლ-შვილო იყო.

უმცროსი ძმა ღამით წამოიკიდებდა ტომრით ხორბალს და ჩუმად უფროს ძმას კიბოვანში ჩაუყრიდა, — ცოლგა ჩემი ძმა, წვრილი ცოლ-შვილის პატრონია, დახმარება სჭირდებაო.

ცოლშვილიანი ძმაც, თავის მხრივ, ღამით ტომრით ხორბალს წამოიკიდებდა და ჩუმად უმცროს ძმას კიბოვანში ჩაუყრიდა, — მარტოხელა კაცია ჩემი ძმა, უნდა დავეხმარო, ვინ იცის, როგორ უჭირსო. ცხოვრობდნენ ტყბილად ძმები, ერთიმეორეს ხელს უმართავდნენ და არასოდეს ჩხუბი არ მოსდიოდათ. რა ბედნიერი იყო მათი დედა!

ახე თავდება ეს კარგი ზღაპარი, — თქვა დედამ, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა, — სადილის გაკეთება მაგვიანდებაო.


თინამ ჩანთიდან ფანქარი ამოიღო და ალიკოს მიაწოდა:

— აი, წითელი ფანქარი, მე დღეს მაინც არა მჭირდება!

— თუ არ გჭირდება, მომეცი, სამაგიეროდ კი, საღებავებს რომ მთხოვდი, აიღე, სულ მიჩუქებია, — უთხრა დას ალიკომ და საღებავების ყუთი გაუწოდა.

ამის შემდეგ და-ძმას ჩანთებში მუდამ ელაგათ ფერად-ფერადი ფანქრები. თუ ერთ მათგანს ფანქარი დაეკარგებოდა ან გამოეღოდა, ზღაპრის ძმებივით მეორე ჩუმად უწყობდა ფანქრებს. თუ ორივეს დაეკარგებოდა ან გამოეღოდა, დილით მათ ჩანთაში ფანქრები მაინც გაჩნდებოდა ხოლმე.

ნეტავი ვისი მზრუნველი ხელი ავსებდა დანაკარგს!




ილია სისაბაღიძე
გურამიკო ტაცია პაწაწინა კაცია, ტანზე პერანგის მეტი არაფერი აცვია. ნამეტანი ცელქია, ნამეტანი ანცია, თუ რამ ნახა, იქვე ხელად დააპირქვავებს, ყველაფერი იზიდავს, ყველაფერი იტაცებს. რასაც ხელით მისწვდება, თვისკენ მიაქვს, იტაცებს. ამიტომაც უწოდეს მას სახელად ტაცია; უმაღლვენ ბევრ რამეს, მოსარიდი კაცია... ან რა გაემტყუნება, ჯერ ერთი წლის არც კია!

გაზაფხული გვხვარს

ნიკოლოზ ჩიჩავა

ფისო, თათი არ ანღო მერცხლის ბუფეს. იცოდა ახლა არ დაგინახო, თორემ არ შეგიცოდებ! მზას არ გაგცემ აროდეს, მე კი არ გეხუმრები, უნდა შენც გიხაროდეს, მოფრენიდან სტუმრები! სიმღერით და ჭიკჭიკით გზაფხული გვახარებს ყველას, ყველას, სუყველას — დიდებსა და პატარებს.

ნახატები ბ. ჩოჩიანიძისა



თანაშემწე

გიგა ეზოში ჩავიდა. შესასვლელთან მსუბუქი ავტომანქანა იდგა. მძღოლი მანქანის ქვეშ გაწოლილიყო, რაღაცას აკეთებდა. გიგა დაიხარა და ქვემოდან გახედა.

— ძია გოლა, მანდ რას აკეთებთ? ჰკითხა მან მძღოლს.

— მანქანას ვწმენდავ. გინდა, ჩემი თანაშემწე იყო?—გამოხედა მან გიგას. აი, მანდ, შენს გვერდით, ზეთის ჭურჭელი დგას და მომაწოდებ.

გიგამ სიხარულით შესარულა დავალება. მალე მძღოლი მანქანის ქვემოდან გამოძვრა, გაიშარტა და გიგას უთხრა:

— თანაშემწევე, აქ იყავი! ამ იარაღებს და ხრანხილებს ხელი არავინ ახლოს, მე მალე მოვალ.

როცა მძღოლი წავიდა, გიგამ თვითონ დაიწყო ოსტატობა. იარაღები გასინჯა, ხრანხილები ვადაწყ-ვადმოაწყო. მერე თავი მიწამდე დახარა, ფეხი გაშოტა და მანქანის ქვეშ შეძვრა. პირაღმაძლიე-ძლიეობით ვადმოტრიალდა, მანქანის დახსნილ ნაწილებს ხელი შეავლო, იქვე ზეთიან ჩეკარს დასწვდა და მიუსე-მოუსევა.

როცა მძღოლი მოვიდა, გიგა უკვე ვახურებულ მუშაობაში იყო.

— ბიჭო! ვინ გითხრა, მანდ შეძვერიო?

გიგა მოიღუშა.

— თქვენ არ მითხარით, თანაშემწე ხარო!


— აბა, გამობრძანდი, ამხანაგო თანაშემწე, ახლა მე უნდა ვიძუშაო.


გიგა ნელ-ნელა გამობობლდა. მუხლის თავები, მკლავები, სახე, ხალათი, ყველაფერი გაშავებული ჰქონდა. მძღოლს უნებურად გაეცინა:

— ხომ მოგკლავს დედაშენი, რას დამსგავსებინარ?

გიგამ ხალათზე დაიხედა. ცოტა შეფიქრიანდა.

— არა უშავს რა,—თქვა მან,—ხომ არ მითამაზია, ვიმუშავებ.





მძლოლმა წელზე ხელე-
ბი შემოიწყო
და მანქანას
დააკე რ და.
გიგა გვერდ-
ში ამოუდგა,
თ ვითონაც
მძლოლი ვით
შემოიწყო ხე-
ლები წელზე
და ხან მან-
ქანას უცქე-
როდა, ხან
ცალი თვა-
ლით მძლოლს
ჩუმ - ჩუმად
გახედავდა.

— ეს რა
გიქნია, ხრახ-
ნილები აკლია!—უთხრა მან გიგას.

— მანქანის ქვეშ არის.
— ეჰ! თანაშემწევ, თანაშემწევე! ყველა-
ფერი ავირევი, — გაიქნია თავი მძლოლმა
და იარაღებთან დაიხარა. გიგამაც გაიქ-
ნია თავი და ისიც დაიხარა.


— გიგა! — მოესმა ამ ღროს ზევიდან
დედის ხმა. — ვგრე სად ამოითხუბნე? ჩქარა
ამოდი ზევით.

— ჯერ არა მცალია, თანაშემწე ვარ, —
ამაყად მიუგო გიგამ.

— რა ხარ? — გაუკვირდა დედას.
— თანაშემწე, — უფრო ხმაბალა შეს-
ძახა გიგამ.

— აბა, ჩქარა მოუსვი აქედან, — ღიმი-
ლით უთხრა მძლოლმა გიგას, — თორემ
დელაშენი, მგონი,
ჩვენსკენ მოდის და
აღბათ ორივეს
მაგრად მოგვხდე-
ბა.

სალამოზე გიგა
ისევ ჩავიდა ეზო-
ში. მანქანა იქ



იდგა, — გაწმენდილი, გასუფთავებული,
სულ კრიალი გაჰქონდა. ვილაც გიგას
ტოლი ბიჭი კი მძლოლის ადგილზე
დამჯდარიყო, ლოყები გამოებერა და
ბუ-ბუ-ბუს! — იძახდა, ვითომ მანქანა მო-
მყავსო.

— მალე ჩამოდი ძირს, — უთხრა გიგამ
ბიჭს.

— რად უნდა ჩამოვიდე? შენ ვინა
ხარ? — ჩამოსძახა გა-
ვირვებულმა ბიჭმა.


— მე თანაშემწე
ვარ!

— თანაშემწე დიახ,
როგორ არა! — გაიქნია
თავი ბიჭმა.

— თანაშემწე ვარ,
აბა, რა ვარ! შენ რო-
ლისმე მანქანის ქვეშ
შემძვროლობარ? გიბუ-
შავია, მანდ რომ წა-
მოსკუბებულობარ? — წა-
იწია მისკენ გიგა.

ამ ღროს მძლო-
ლიც წამოადგათ თავ-
ზე.

— გაშველებ! —
თქვა მან, — ჩემს თანა-
შემწეს ვინ აწყენინა?
აბა, ამოდი, გვერდით
დამიჯექი. დილით ხონ
გამუშავე, ახლა უნდა
გაგასეირნო. ეს კი-
დეცა, — გაიშვირა ხელი
პატარა ბიჭისაკენ, — ჩემი შვილია! შენის-
თანა თანაშემწეა. ხელი მაგრად ჩამოარ-
თვით ერთიმეორეს და გაიცანით.



მზია და საათი



აღ. შაბაგაძე

ხანატი ი. არღვიშვილი

მზია დროზე იღვიძებს, ტანსაცმელსაც თავისით იცვამს, ბევრი ლექსიც იცის, მაგრამ ზოჯჯვრ უფროსებს არ უჯერებს. როცა თავს მარტო დაიკულებს, მაშინვე სწელი ან საკვრავ მანქანას უნდა წაატანოს, ან სკამი უნდა მიიღვას და კედლის საათის მეწკვი დაწიოს დაბლა, ან რადიომიძღები აწვავლოს.

დაბრუნდება დედა სამსახურიდან, საკვრავ მანქანას მიუჯდება და... ან ნემსია გატყეხილი, ან რაიმე არის მოძლილი.

— მზია, შენ გატყეხ?

— არა, დედილო, მე არ გამოტყეხა. დაბრუნდება მამა, მამის საათს დასუფავს და კედლის საათს შემოწმებს; კედლის საათი ხან წინ გაბრის და ხან ჩამორჩება.

— მზია, შენ აწვალე საათი?

— არა, მამიკო, გუფიცები...

ერთი დღეს მზია ჩვეულებრივად თავს ირთობდა. საათის ისრები ხელითაც კი აამოძრავა.

სადამოს, როცა უკვლა ვახშობდა, მამამ შესუდა საათს და...

— მზია, სად არის საათის ერთი ისარი, შენ მოტყეხ? — თქვა და განკებ მოიღუპა.

მზიამ საათს შესუდა და შეშინდა. მართლა ცალი ისარიღა მოჩანდა.

— მე... მე ვასწორებდი დღეს, ალბათ, მაშინ მოსმურა, — გამოტყუდა მზია და თავი სელებში ჩარგო.

როცა მძლავრ ანეგდა, უკვლას ედასებოდა. ორივე ისარი ჩანდა: თურმე ზატარა ისარს დიდი გადაჭყარებოდა, ახლა კი ჩვეულებრივ, ისევ წინ გაესწრო.

ხე და ბაღები

ერთი დიდი ხის გარშემო მწვანე ცვირანი ბაღები ხარობდა. მზის სხივებსა და წვიმას გაელაღებინა ასე.

— რამდენი წლისა ხარ? — შეეკითხა ერთ დღეს ბაღები ხეს.

— ასი წლის, — მიუგო ხემ.

— ეე, — შეიკუმუნა ბაღები, — ას წელიწადში ამაზე მეტი ვერ გაიზარდე? მე მხოლოდ ცხრა დღისა ვარ და აბა, შემომხედ, სადამდე გწვდები. თხუთმეტ წელიწადში კი შენზე მაღალი ვიქნები...

ერთხელ ქარი ამოვარდა და ბაღები მიწას გააკრა. ამის შემდეგ ბაღები მალე შეყვიოთლა.


ხე? ხე კი ძლიერ ქარში მხოლოდ ოღნავ შეირბა.

თარგმნა თ. ახალაია

ბოსტანში

ა. შიშიაშვილი

ნახატები ან. კახლაძისა



საქმე გაუჩნდათ ბაჭიებს,
ტურცმაცუნას და ლამაზას,
ხალისიანად შრომობენ,
ქმარებიან მამასა.

კუდმოკლე, გამრჯე უურცქვიტა
ნეტავი იქ ვის უცდერის?
გინდათ, გაიგოთ, ბავშვებო?
მამ, გადაშალეთ ფურცელი!



რა მშვენიერი დილაა,
რა საშური დარია,
კომბოსტოს, კიტრს და სტაფილოს
კურდღლისკენ მიუხარიათ.
მოდიან, მოიძვებიან,
შუბლს იკრიდებენ ხალისით,
ბაღ-ბოსტნის მსურსეულ ურცევებთან
თვითონ ვახლენ თვისით.
შვებ გულიანად იცინის,
დაბურებს კურდღლის მოწყულს,
გახარებული ურცევებია
ოჯახს შიარობებს ბოსტნეულს.





დაუპატრიუბელი სტუმარი

პარლა რამბლენა ნახატება მ. ფრანკოვისა

ცაი ზამთრის მიწურული იყო. მთებში ქარიშხალი დღუოდ და დამდამობით მშვიდი ჰგავდნენ ურელი იქურობას იკლებდა. წყნია ხსენდა მოვლის კანაპრის იდეა. აბიოლ მონადირეებს ეკავებოდათ, დამით სხდობა და უმის კარი მაგრად ჩაეკეტებოდა.

ერს სადამის მკვლელები მან ვიყავი. კარგი ქარი ჰქონდა, ფრანგებსა და კარებს ახსნებდა. რა სურათი ახვი ამბობს ეპურებულ დღეულად ვლინებს! ბიბია ათს ამებს ცვალებოდა და კარნობდა. ამ დროს ჰუმარსუ ვიღებდ მთიკაწარს.

ბიბია სმენდა. ექვა. კერწი კანკარდა.
— შევლი იწმება—სიცილით თქვა ბიბიამ. წყნ კეთილყო და ჩურჩულით ვაიხსენყო.
— იწმება ვინმე სტუმარი?
— არა.—ტაღწვერით თქვა ბიბიამ.—ეს არც კვირა და არც მკვლელები წამოიბამდები და ფართით ზეღბი ჰუმარნაბს მივდივ. უხობი ქარიშხალი ხუხუნებდა და ცხუბროვდა კავლის ტოკებს მაწაქს ახეუჭებდა.
— ვინ არის მანად—კამბახა ბიბიამ.
— მხა არივინ კანკა. კერწი იხვე ენწმარდა... ბიბიამ კარის ჰუმარნაბს კასივდა.

— ჰუმარია.—კარგებით თქვა მან.—ხედავით, მკვლეს გამოეცხა.
ჰუმარი კავადო კართან მარბლად ჰუმარეკი იხვე. მუშაშეული მუშოკვერიადა, მუშაშე უხობი მუშოვიდა. ბიბიამ ფრინი მალდა ამწადა და სხარულით წამოიბამდა.
— მუსეი ურო, ეს ხომ მისი ჰუმარია!
ჰუმარეკი დილეუშული იხვეებოდა აქრო-იქითა თითქმის რაღაცას დაეუჭებოდა.
— რად მივად? მკვლეს ჰუმარინა?—უკეთესე მუ.

— არა,—მითხრა ბიბიამ,—სიცილმ მთავრინა აქ. მობიდა, ითხმით მუკვერინო.
ურო-იროი ჰუმარინა წინ კავებდა და სხდობს კარი გადიდა. უხობი სინაბობს სხეოი ზოლად დაიბეზდა.

ჰუმარეკი კართან მივიდა და მარინი მუშოვიდა. მუშოვიდა ჯერ კავებდა. მურე უკამდ ჰუმარინა ითხმით. წყნე უკამდ მივდივით. მირეუდა აქრო-იქითა აქროვოდა და თან დიღირინა, მუი თუღუბით კვათაღივრებდა. მუშაშე დღეულად კანკარდა. ბიბიამ კეთილმინა, ცირკა ხსნს არ კანკარებოთ.



— წყნე უხობი,—ხედავით მან,—ხედავით მუკვერე.
ჰუმარეკი დიდხმს არ დამუშავებულა. ბოლოს წინა ფეხებზე ხაზოტყ და ჩანთვლიბა. ბიბიამ დახაძინებულად მუიოვ ითხმით კავებებურინა.

მუიოვ დღეს ჰუმარეკი გამოიღებულეი და ცხუბდა. იხვე დღეულად იწვა, თღონდ მის ფავლებში მამი აღარ წანდა. ბიბიამ ჰუმარეკი უხობი კავებდა და კავებოდასიხლა, ჰუმარი ჰუმარად დაეკეთო.

მუიოვ სადამი ჰუმარეკს ბიბივლი კავარინა. დღისათ უხობი დაბრბდა და რტებით კავლებს სეს ქანებოვდა. ასე კავად სუთი-ტყვით დღე-ქარიშხალი წადდა.

— ჰუმარეკი კავობ და ახლა მუიოვებს კავებებს კავებდა—ტაღწვერითლა ბიბიამ.
მუიოვდ კვერელი ჰუმარის და თვადს არ კანკარებდით სუყარულ სტუმარს. მუ კანკარეს თოკედ მთავით.

ურო დიდს ჰუმარეკი ეანსკვერებით მოეკვერინდა იყო და აქრო-იქითა მუშოვებოდა. წყნე კართან დილეუტეტი. მუიოვდ ჰუმარეკი უხობად ლობებს ვეც. ასეცა და ჰუმარის ზედა კადვეულო-კადრე ჰუმარეკი კავადო, ჰუმარეკი კვერელიმკამდ მარტოვდა. ახლაბი, თვადის ფდა მუიოვარტა.

ასე კავებდა წყნე დეუბტივებელი სტუმარი.

აბუბოივანელიდან თარგვინა დღეობა უხობს

მტინალი



— ამათ მკვლავნი — რა ბავშვია, რა ბავშვია! — იმისი შერი ჰქნება. ვინ რა იღის, რომ ეს ბავშვი სულ ტრისის და წყრება! ამა რა ვაქნეს სატინალი. ასეთი რა მობება? დამიოვრე. მოციაროი ხარ ათასურე კობტა. გამიგონებ, ცეროვანებ. ეგ ჩამიღერი დამთმე, თორედ ფრსო გვეგონებნი, გავკატუნებთ საცემ!



უქარა

აღმათ მონაბოძალი

ჯერ სმით წლინსაც არ არის სუირონი, ფურწულად მუქარას, სულ ჯიუნზე ფურწულსებს დილეუწმობდა, მუშოვდა. სინ მურთით ხელში ემობოდა, ვახტაყება ჩირუჭებს, სის ცხენიც უყვარის მუქარას, არც ღამის ბუტონს იწუჭებს. მუიოვდ თავისი დედელი თვეარის კველავზე მადიან, დედის კვლავითი როცა სის, სხეუბითითის აღარ სცვლიდა.

ნახატება მ. ფრანკოვისა





პირთი დღე

ოგია იოსელიანი

ნახატები კ. მახარაძისა

დედამ ყვავილებიანი კაბა ჩაიცვა, მამამ—ახალი კოსტუმი და წავიდნენ შორს, ძალიან შორს. ბებია შინ დარჩა.

გოჩას ლამაზი ხალათიც ჰქონდა და ახალი შარვალიც, შინ რატომ უნდა დარჩენილიყო?

მაგრამ მამამ თქვა:

— გოჩა დარჩება ბებიასთან და ბალახს დაუყრის ზაქს, მშვიერი ზაქი ცოდვია. არც თოკანი ვარჯა მშვიერი.



დედამ დაუმატა:

— ჩვენს ვენახს ჩიტები კენკავენ, გოჩა დააფრთხოხ მათ. გუშინ ბოსტანში გომბეშო ვნახეთ, გომბეშო ხომ ძალიან სასარგებლოა ბოსტნისათვის; ჰოდა, გოჩა თვალყურს ადევნებს, არ დაიკარგოს.

— შეიძლება სტუმარი მოვიდეს, გოჩა ეტყვის: ვთხოვთ, მობრძანდეთ შინ,—თქვა ისევ მამამ,—და გაუმასპინძლდება სტუმარს.

წავიდა მამა, დედაც წავიდა.

ბებია სამზადში ფუსფუსებდა. ზაქი თუთის ძირში ძოვდა ბალახს და ხანდახან დაიშმუვლებდა:

— მუუუ!

თოკანი ჯაგს კენკეტდა ეწოს ბოლოში და ხშირად გაიძახოდა:

— მეე, მეე!

იხვებს რაღაც თქმა უნდოდათ და გაიძახოდნენ:

— ვიტ-ყვით! ვიტ-ყვით!

ბატები ღინჯად დაბაჯბაჯებდნენ ეწოში და ყველას აფრთხოებდნენ:



— სსუუ. ხმა არ ამოი-
ლოთ!

გოჩა ზაქთან გაჩნდა:

— ვიცი, ბალახი გინდა.
მამა არ არის შინ, არც დე-
და, მე მოგიტან ბლომად
ბალახს.

გოჩამ გოდორი გაიღო
მხარზე და ბალახის დასა-
გლეჯად ეწოს ბოლოსაკენ
გასწია.

ჯაგზე მიბმული თიანთი
ცმუკავდა, იწევდა ნეკერისა-
კენ და გაიძახოდა:

— მეთე! მეთე!..

— ჰო, ვიცი, შენ ფე-
თოლი გინდა, — მიუახლოვდა

გოჩა, — მამა უკვე წავიდა.
მე მოგიტან ბლომად ფოთოლს.

გოჩამ გოდორი დააგდო, უკან გამო-
ბრუნდა, ახლა კალათი აიღო და გასწია.

იხვები ისევ აღებდნენ ბრტყელ უვითელ
ნისკარტს და ხმამაღლა ამბობდნენ:

— ვიტ-უვით!

— ჰოო! — მიხვდა გოჩა, — თქვენ დაგცხათ
და წყალი გინდათ. მე ახლავე მოვიტან
ვედროს და კიდან წყალს ამოვიღებ.

წავიდა გოჩა, მოაქვს გრძელბარბანი
ვედრო. ჯერ ეს საქმე არც მოეგვარებინა,
რომ ვენახიდან ჩიტების სვილ-ხვილი მო-
ესმა.

— ჰოო! ვიცი, ჩიტები უფრქენს კენკა-
ვენს, — ჩუმად თქვა გოჩამ, — მე ახლავე გავ-
რეკავ ჩიტებს.

მათადო გოჩამ ვედრო და ვენახისაკენ
გაიქცა.

გზად ბოსტანს ჩაუბრინა. ბოსტნიდან
გომბეშოს ხმა მოისმა:

— უვუ! უვუ!

— ოჰო! — შეჩერდა გოჩა, — შენ, მგონი,
გაქცევას აპირებ!

გოჩას დაავიწყდა ჩიტები და ახლა ბო-
სტანში გადაძვრა.

ბოსტანში მწვანე კომბოსტო, — მხალი



ხარობდა, ოხრაბუში და პრასა ეთესა დე-
დას; მწვანე იყო ხახვიც, ქონდარიც და
გოჩა დიდხანს ეძებდა ამ სიმწვანეში მწვანე
გომბეშოს.

კიშკარს მეზობლის ცისფერთვალგმა
გოგონა მოადგა და გააბა:

— გოჩა, უუ, გოჩა!

გოჩა კიშკართან გაჩნდა, გოგონას კარი
გაუღო და უთხრა:

— გთხოვთ, მობრძანდეთ შინ!

— გმადლობთ! — თქვა გოგონამ და ეზო-
ში ჩავიდა.

გოჩა სტუმარს აივანზე აუძღვა.

აივნის კუთხეში, ტახტზე ბებიი მიწო-
ლილიყო, თვალეები დაეხუჭა.



დესეული

ივანე

გოჩა კარადაზე აბობლდა, დიდ ქილას დასწვდა და ჩამოიღო.

— ეს მურაბაა, — აუხსნა გოგონას, — მიირთვი!

— გმადლობთ! — თქვა გოგონამ.

გარეთ დაბმული ძაღლი აუეფდა.

— რა ამბავია? — თვალეები გააღო ბებია.

ეწოში მეწობლის დედა ღორი ტალახიანი ღრუნჩით გოდორს აგორებდა, ღრუტუნებდა:

— ღრუტ, ღრუტ!

ერთი პატარა გოჭი კალათში შემძვრალიყო და ტალახიანი ჩლიქებით სვრიდა. მეორე ჰრელ გოჭს ვედრო წუმპეში ჩაეგდო და ბრტყელი ცხვირით ისევ გადმობრუნებდას ცდილობდა.

მზე ჩავიდა, როცა გოჩამ, ბებია და ცისფერთვალეა გოგონამ ნახეს, რომ ჩიტებს უურძენი დაეკენკა, ბოსტნისათვის სასარგებლო გომბეშო გაპარულიყო, გატალახიანებული ქის ვედროც გოჭებს ეწოხ ბოლოში გაეთრიათ.

გოჩას დედ-მამისა ძალიან რცხვენოდა, თუმცა არც ზაქი იღებდა ხმას, არც მოუსვენარი თიკანი. მამას ჩიტების დაკენკალი ვენახი ჯერ არ ენახა და დედასაც გომბეშოს დაკარგვის ამბავი არ გაეგო. მაგრამ იხვები, ეს უვითელნისკარტა იხვები ხანდახან წამოიყვირებდნენ ხოლმე:

— ვიტ-უვით, ვიტ-უვითო!

დინჯი და წინდახედული ბატები კი იქვე იყვნენ და აფრთხილებდნენ:

— სხს-სუუუ! ხმა არ ამოიღოთ!



ღარაჯი

ოთარ პალაშხარია

— წივ-წივ!

წივ-წივ! —

წივწივებენ

ზაწაწინა

წიწილები:

— წადი, ქორო,

რას წრიალებ,

აქეთ რატომ

იციქირები?!

წადი, თორემ

კელას ხედავ!

თოფით რომ დგას

ვენახებთან?..

წივ-წივ!

წივ-წივ! —

არსეიანად

წივწივებენ

წიწილები.





წიწილის ხიდი

ნინო ბუბრაშვილი

ნახატები
ბ. არინიშვილისა

— თემა, აი, რა ვიშოვე!— შემოვსმა თემის ზურას ხმა. ზურას ხედში ძველის-ძველი საცრის ნახევარი ეჭირა.

— რისთვის გინდა?— ჰკითხა თემომ.

— ხიდის თალად გამოგვადგება. ხევში ვიპოვე და წამოვიღე.

ზურამ საცრის რგოლის ნახევარი რუს დააბომა, გადასწვდებდა თუ არაო. თემომ რუსში უფრო ღრმა და ვიწრო ადგილი მოძებნა, წყადს ზემოდან გადაადგა და თქვა:

— მართლაც კარგია, თალის გვერდებს და ზევითა ნაწილს ცემენტით ამოვაშენებთ. ოღონდ სად ვიშოვოთ ცემენტი?

ბიჭებს ბებია სონას ეზო გაახსენდათ, იქ აუარებელი ქვიშა და ცემენტი ყყარა. ბებია სონასთან გაიქენენ და ორი მუქა ცემენტი გამოსთხოვეს. გაჩალდა მუშაობა. ბიჭებმა ჯერ რუ ამოასუფთავეს, მერე საცრის რგოლი რუს ნაპირებზე მიწაში ჩაამაგრეს და ცემენტით ამოაშენეს. თალის ზემო ნაწილიც ისე გადადესეს, რომ ნაპირებს გაუთანასწორეს.

— აბა, ეს რა ხილია, ზედ ერთ ნაბიჯ-

საც ვერ გადაადგამ, — შენიშნა პატარა ნუგზარმა.


— კუტ-კუტ, კუტ! — გაისმა უცბად მათ მახლობლად

აფხორილი კრუხი წიწილებს პირდაპირ რუსკენ მიუძღოდა. მივიდა თუ არა რუსთან, კრუხმა ისკუმა, გადახტა და მეორე ნაპირიდან მიიხმლა შეიღებო.

— წია, წია, წია! — წივწივებდნენ წიწილები და გადასასვლელს ეძებდნენ. ერთმა ქვა მოძებნა, შეხტა და ისე გადავიდა მეორე მხარეზე. მეორემ პაწია ფრთები გაშალა და გადაფრინდა. დანარჩენები რუს გადაღმა უმწეოდ დარჩნენ. უცბე ერთი მათგანი ბიჭების გაკეთებულ ხიდს წააწყდა. წიწილამ გადაირბინა ხიდი და განარებული დედასთან მიიკრა. სხვებიც უკან მიჰყვნენ... კუტ-კუტ და წია, წია, — ერთმანეთში აირია.

— ახლაც იტყვიან, გამოსადეგი არ არისო? — გაუხარდათ ბიჭებს.

ბავშვებმა ხიდს წიწილის ხიდი შეარქვეს.





სანქარი მანქანაში

ერთ ძველიძველ საქათვეში
 შეიპარა მელია,
 ქაიშებს უობრა:—დაივიწყეთ,
 რაც კი ზემზე ვსმენათ!
 თქვენ გვოლიათ მოჩხუბარი,
 ველარ მოვისვენათ...
 იმას დაესჯი, მარტო იმას,
 ენდეთ კეთლი მელიას!—
 თქვა და კიდევ მოითოთ:—
 აი, მტერი ის არას!—
 მამლაიუნის წუტანა,
 წაწყვეტა კინერი.
 მომკვდივი მამლაიუნის
 მაინც ზტის და ფარობსლებს,
 წინ წამოდგა ინდური,
 შედღურად აცხადებს:—
 ურუ-ურუ-არ ვარ... უთავოდაც
 ის ვადლის მმლაეებს...
 — უი! უი! დიხა.—ზატი ამბობს,
 მელის უფრო აღალებს!—



მელია ზგათუჩა

— თავი რაა? ან რად გვირდა?
 რას შეგძენს, რას დაგვაკლებს?
 უთავოდაც შეიძლება,
 მოვუხინოთ არაკებს.—
 იმ ზატს იხვიც დაეთანხმა,
 ზრძენითა ბრძენი ჰგონია.
 ის სულელიც მელის აქებს,
 ზატმა ითუოლია:
 — ამონანა მოსამართლე
 ქათმებს არა ჰქოლიათ!
 იი, ნახეთ, მამლაიუნის
 სახედ წუვა განა შორს!
 მას მელია ისე უფარს,
 მის გარშემო თამაშობს!—
 მელაკუდას იანები
 ზატს ეგონა მართალი,
 და თამაშად მოჩნებს
 მამლაიუნის ფარობალი!
 არუბი ოჯად სახუდარში,
 იხუტება წიწილას,



სახატი ზ ურხისმედილია

ვაი შენ, თუ შეზიარლენ!
 თუ ვაგვიძენა საქათმიდან.
 მერტი მოკვდა ძნელია!—
 ძალლი წიწიფად თავს დაახტა
 და მიბარჩო მელია!...
 წიწილების დღეს ვუტებს
 ვაზუდვას და მხნეობას,
 რადგან იხსნა იმ სახათმის
 მთელი მოსახლეობა.
 არუბმა გადაარჩინა:
 ინდური ბენგერა,
 ტანად გამოჩენილი,
 იხვი, ამყოლი-დამყოლი,
 ზატი ჩამორჩენილი.
 ძალლიც ვახლავთ საქებარი,
 ის ერთვული მცველია!
 სამუდამოდ მოგვაშორა
 ვიცივენი მელია!
 რა ძალია ამ იგავში,
 რა აზრია დოქტრები?
 მტერზე მუდამ გავამარჯვებთ.
 თუ ფხიზლები ვიქნებით!



6.122/98

ქართული
ბავშვთა



პარლ კობახიძე ნახტი ირ. პარლიზილისა

თუკი გიყვარს

— დღი, ვაშლი გიყვარს?
 დღი, გიყვარს ბაღი?
 — ვაშლიც მიყვარს,
 ბაღიც,—
 მიპასუხებს დღი.
 — თუკი ბაღი გიყვარს,
 თუკი გიყვარს ვაშლი,
 ყვავიდიან ტოტებს
 რატომ ამტვრევ მაშინ?!

ყდის მხატვრობა ეფუენის **აღ. მიგოლავეილს**

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგოიაშვილი, მ. აყვალა მრეკლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფტოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბავთცემის ოცდამეთერთემა ფალი ფასი 2 მან.

Д И Л А — ежемесячный детский журнал ЦК АКСМ Грузии № 4, апрель, 1958 г. Тбилиси, Просп. Пляханова 91.
 საბალიტბანი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შუკე. № 19, სტამბის შუკე. № 281
 გიორგი 15000 ფე 20904 ხელმოწერილია დსაბამად 1/11 1958 წ. უფრწლი დაბეჭდილია ლითონოტვტერ მეჭდის უპროკაში